ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3889520

ნომერი: AR1588715

თარიღი : 26.03.2018

გაცემის თარიღი : 28.03.2018

გაცნობის თარიღი : 28.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარო მაყაშვილის ქუჩის ჩიხი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ქევანიშვილი პ/ნ 60002012075
- საქართველო, ქალაქი თბილისი, წყალტუბოს ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 34

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 26 მარტის №AR1588715 განცხადებით მომართა დავით ქევანიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებით №01.15.07.006.038 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამავე სამსახურის 2017 წლის 23 ოქტომბრის №3631963 ბრძანებით გასწორდა სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლების ნაწილში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 3295.81 კვ.მ, დამხმარე ფართობად დაფიქსირდა 184.06 კვ.მ, ხოლო, საერთო ფართობად დაფიქსირდა 6,371.41 კვ.მ.
წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობის 1116.32 კვ.მ-ის ნაცვლად 1,147.85 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობის 6371.41 კვ.მ-ის ნაცვლად 6,402.94 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია და უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1,147.85, საერთო ფართობი (კვ.მ).:6,402.94. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3246886 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.